



## მოსაწვევი

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ კავკასიური ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ შეხვედრაში - **სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია - მაკედონური გამოცდილების გაზიარება** - მონაწილეობის მისაღებად. სემინარი ჩატარდება 9 სექტემბერს კავკასიური ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში (მისამართი: წერეთლის 72, მე-2 სართული).

სემინარის პირველი ნაწილში მაკედონური კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები - მარია რისტესკა და ჟიდას დასკალოვსკი - ისაუბრებენ საჯარო პოლიტიკის სფეროში ადვოკატირების აპრობირებულ ტექნიკებზე და *საგზაო რუკის* განხორციელების მონიტორინგის მაკედონურ გამოცდილებაზე. მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება მოხსენებები ევროკავშირისა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივების და ამ კუთხით აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვსივე ქვეყნაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სემინარის ბოლოს გაიმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოხდება საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის ადვოკატირების გეგმის შემუშავება.

მოსაწვევთან ერთად გიგზავნით დღის წესრიგს.

სემინარი ტარდება PASOS-ისა და კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის *აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის შორის უვიზო რეჟიმის ხელშეწყობა* ([www.novisa.ge](http://www.novisa.ge)) ფარგლებში.

გთხოვთ დაგვიდასტუროთ სემინარში მონაწილეობა 29 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე [tiko-tke@cipdd.org](mailto:tiko-tke@cipdd.org).

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ნომერზე 593 36 28 38.

პატივისცემით,

თამარ პატარაია

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი  
ევროპული და ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის  
პროგრამის ხელმძღვანელი



შეხვედრა ტარდება PASOS-ის პროექტი *აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირის შორის უვიზო რეჟიმის ხელშეწყობა* ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საზოგადოების ინსტიტუტის ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმის ინიციატივის მიერ [www.novisa.ge](http://www.novisa.ge)